საქართველო
სანოტარო აქტი

ორიათას თექვსმეტი წლის ოცდასამ მაისს, მე, ანჟელა მანიას, ქ. თბილისში, ჩემს სანოტარო ბიუროში, რომელიც მდებარეობს მისამართზე **ქ. თბილისი, რესპუბლიკურის მიმდებარე ტერიტორიაზე, შპს „თოუ დეველოპმენტი“-ს (რეგისტრირებული: 05.11.2013 წ ს/კ 404459386, იურიდიული მისამართი: საქართველო, ქ. თბილისი, ძველი თბილისის რაიონი, ყაზბეგის ქ. №20) დირექტორმა გიორგი ამილახვარმა.** მან განაცხადა, რომ სურს **ირაკლი ჩირაძის** მიმართ მინდობილობის შედგენა და ამ მინდობილობის სანოტარო წესით დამოწმება. მე შევამოწმე მისი პირადობა მის მიერ წარმოდგენილი პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტით და დავადგინე, რომ მე ნამდვილად **შპს „თოუ დეველოპმენტი“-ს დირექტორმა გიორგი ამილახვარმა** (დაბ. 01.01.1984 წ. რუსეთში, პ/№ 01031004071, რეგ. მისამართზე: თბილისი, ე. ტატიშვილის ქ. №20) მომმართა. მე ვადასტურებ, რომ მის ქმედუნარიანობაში ეჭვის შეტანის საფუძველი არ მქონდა. მე დავრწმუნდი მისი ნების გამოვლენის ნამდვილობაში, შემდეგ შევადგინე მინდობილობის პროექტი, რომელიც განვუმარტე მას. მან წაიკითხა ეს მინდობილობა და მკაფიოდ განაცხადა, რომ იგი ზუსტად გამოხატავს მის ნებას. შემდეგ მან ჩემი თანდასწრებით პირადად მოაწერა ხელი შემდეგ მინდობილობას, რასაც ვამოწმებ.

მ ი ნ დ ო ბ ი ლ ო ბ ა

ორიათას თექვსმეტი წლის ოცდასამ მაისს, მე, **გიორგი ამილახვარი,** როგორც **შპს „თოუ დეველოპმენტი“-ს დირექტორი,** შემდგომში ამ მინდობილობაში წოდებული როგორც “მიმნდობი პირი”, ამ მინდობილობით უფლებამოსილებას ვანიჭებ **ირაკლი ჩირაძეს** (დაბ. 06.02.1968წ. თბილისში. პ/№ 01017022486) შემდგომში – “მინდობილ პირს”:

“მინდობილი პირი” უფლებამოსილია იყოს **შპს „თოუ დეველოპმენტი“-ს (ს.კ. 404459386)** წარმომადგენელი ქ. თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიულ პირთან-არქიტექტურის სამსახურთან (შემდგომში-სააგენტოსთან) და მერიის სხვა ნებისმიერ ორგანოებთან ურთიერთობაში: უზრუნველყოს დადგენილი წესით სამშენებლო მიწის (მდებარე: ქალაქი თბილისი, ქუჩა უნივერსიტეტი, №2; მიწის (უძრავი ქონების) საკადასტრო კოდი №01.14.06.008.144 გამოყენების პირობების დადგენა, არქტირეტქტურულ სამშენებლო პროექტის შეთანხმება, მშენებლობის ნებართვის მიღება და კანონმდებლობით დადგენილი წესით მათში ცვლილებების შეტანა. შეიტანოს განცხადებები, წარადგინოს შუამდგომლობები, ჩაიბაროს გადაწყვეტილებები ან სხვა სახის დოკუმენტები, მისცეს სააგენტოს ზეპირი და წერილობითი ახსნა-განმარტებანი. გაასაჩივროს სააგენტოს გადაწყვეტილებები. წარადგინოს და ხელი მოაწეროს მორიგების აქტს განხილვის ნებისმიერ ეტაპზე, უარი თქვას გადაწყვეტილების გასაჩივრებაზე.

განახორციელოს ყველა სხვა მოქმედება, რაც საჭიროა წინამდებარე მინდობილობაში მოცემული დავალების შესასრულებლად, ხელი მოაწეროს საჭირო დოკუმენტებს და შეასრულოს ნებისმიერი მოქმედება რაც დადგენილია საქარველოს მოქმედი კანონმდებლობით და დაკავშირებული იქნება ამ დავალებების განსახორციელებლად.

მინდობილობა შედგენილია ქართულ ენაზე **სამ** თანაბარმნიშვნელოვან ეგზემპლარად, რომელთაგან ერთი ინახება ნოტარიუს ანჟელა მანიას სანოტარო არქივში, ხოლო დანარჩენი გადაეცა მიმნდობ პირს.

მინდობილობა გაცემულია **ექვსი თვის ვადით.**

მინდობილობა გაცემულია **უფლებამოსილების შემდგომი გადანდობის უფლების გარეშე.**

მინდობილობა შეიძლება ვადამდე შეწყდეს ერთ-ერთი მხარის ინიციატივით მეორე მხარისათვის წინასწარი შეტყობინებით, რისთვისაც საჭიროა ამ გარიგების სანოტარო წესით გაუქმება.

ამ მინდობილობის იმ ეგზემპლარს, რომელიც ინახება სანოტარო არქივში თან ერთვის:

- **შპს „თოუ დეველოპმენტი“-ს** ამონაწერი მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების რეესტრიდან.

გადახდილია სანოტარო მომსახურების საზღაური თანახმად საქართველოს მთავრობის 29.12.2011წ. დადგენილების № 507 “სანოტარო მოქმედებათა შესრულებისათვის საზღაურის და საქართველოს ნოტარიუსთა პალატისათვის დადგენილი საფასურის ოდენობების, მათი გადახდევინების წესისა და მომსახურების ვადების დამტკიცების შესახებ” 10 (ათი) ლარი – მუხლი 31, დღგ 1.80 ლარი - თანახმად საქართველოს საგადასახადო კოდექსის 169-ე მუხლისა, აგრეთვე 2 (ორი) ლარი ელ. რეესტრში რეგისტრაციის საფასური თანახმად ზემოთმითითებული დადგენილების 39-ე მუხლისა.

ხელმოწერა გიორგი ამილახვარი

ნოტარიუსი ანჟელა მანია

სანოტარო მოქმედების ინდივიდუალური ნომერი

81917914552016

საქართველო



სანოტარო მოქმედების დასახელება

რწმუნებულების / მინდობილობის დამოწმება

სანოტარო მოქმედების რეგისტრაციის ნომერი

N160543777

რეგისტრაციის თარიღი

23.05.2016 წ

ნოტარიუსი: ანჟელა მანია
მისამართი: ქ. თბილისი, რესპუბლიკური საავადმყოფოს მიმდებარე ტერიტორია
ტელეფონი: 5 (93) 677685; ელ.ფოსტა amania@notary.ge

სანოტარო მოქმედებისა და სანოტარო აქტის შესახებ ინფორმაციის (მისი შექმნის, შეცვლის და/ან გაუქმების შესახებ) მიღება–გადამოწმება შეგიძლიათ საქართველოს ნოტარიუსთა პალატის ვებ–გვერდზე: www.notary.ge ასევე შეგიძლიათ დარეკოთ ტელეფონზე: +995(32) 2 66 19 18